

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით მამამთავრიშვილი

ბიოპოლიმერული მასალების გამოყენება, ალვეოლარული მორჩის
დეფექტების აღსადგენად მისი შემდგომი პროტეზირებისათვის

14.00.21 – სტომატოლოგია

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2006

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ება-სახის ქირურგიის და სტომატოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **გიორგი მენაბდე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

რამაზ ჩიხლაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: **ზურაბ გვენეტაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. (14.00.21)

რეზო კაპანაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. (14.00.15)

დისერტაციის დაცვა შესდგება 2006 წლის _____ სთ-ზე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე (0177, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის _____

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი-

მიიკერიელი

Тбилисский Государственный медицинский университет

На правах рукописи

Мамамтавршвили Давид Ираклиевич

Применение биополимерных материалов при восстановлении костных дефектов альвеолярного гребня для последующего протезирования

14. 00. 21 – Стоматология

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

**диссертации на соискание ученой степени
кандидата медицинских наук**

**Тбилиси
2006**

Работа выполнена на кафедре челюстно-лицевой хирургии и стоматологии Грузинской государственной медицинской академии

Научные руководители:

Георгий Менабде

доктор медицинских наук, профессор

Рамаз Чихладзе

доктор медицинских наук, профессор

Официальные оппоненты

Зураб Гвенетадзе

доктор медицинских наук, профессор (14.00.21)

Р.Капанадзе

доктор медицинских наук, профессор (14.00.15)

Защита диссертации состоится ----- 2006 в ----- часов
на Заседании диссертационного Совета № ----- Тбилисского Государственного
медицинского университета (0172, Тбилиси, пр. Важа Пшавела 29)

Автореферат разослан -----2006 г.

Ученый секретарь Диссертационного Совета
доктор медицинских наук
профессор

М.Ивериели

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა კბილის ექსტრაქციის შემდგომ ალვეოლარული მორჩის შენარჩუნება არის საკმაოდ აქტუალური მედიკო-სოციალური პრობლემა (Arthur O. et all., 1993). ამასთან დაკავშირებით საჭიროა მონიხოს ავადმყოფთა მკურნალობის ეფექტური საშუალება კბილის ექსტრაქციიდან მუდმივი ორთოპედიული კონსტრუქციის დაყენებამდე და იმ მეთოდების შემუშავება რომელიც ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის ატროფიის შემცირებას.

როგორც ცნობილია კბილის ექსტრაქციას ყოველთვის თან ახლავს ალვეოლარული მორჩის atrofia. სტატისტიკურად გამოვლენილია, რომ 2-დან 3 წლის განმავლობაში ძვლის დანაკარგი 40-დან 60 %-მდეა, ხოლო შემდგომ წლებში ეს პროცესი პროგრესირებს 0,25-დან 0,5 %-მდე სისწრაფით წელიწადში სიკვდილამდე. ატროფიის ეს ფენომენი უნივითარდება ყველა ინდივიდუმს კბილის ექსტრაქციის შემდგომ. ამ პროცესის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ მომენტალური, ექსტრაქციის შემდგომ, ალვეოლის შევსებით სპეციალური ნივთიერებით. ამ ამრს სტომატოლოგიაში ძირითადად ეძახიან ალვეოლარული მორჩის შენარჩუნების თერაპიას (Ашман А., 2001).

ალვოლარული მორჩის დაღაბლება თავის მხრივ იწვევს არამარტო ესთეტიკურ, არამედ ორთოპედიულ პრობლემებსაც. შეუძლებელი ხდება ინპლანტანტის გაკეთება ძვლის სისქის სიმცირის გამო. ყბის ძვლის დაზიანება პათოლოგიური პროცესით. (მაგალითად: გრანულომით, კისტით, გრავით, პაროდონტის პროგრესული დაავადებით), ღვას მხოლოდ მეორე ადგილზე კბილის ექსტრაქციის შემდეგ, ეფექტური ინპლანტაციის დამაბრკოლებელ ფაქტორებს შორის (Ashman A., 2000).

გემოთმოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, გასაგებია მეცნიერების სწრაფვა შექმნან ძვლის შემცველი ნივთიერება, რომელიც არ გამოიწვევს დაავადებების აღმოცენებას ან გადატანას, იქნება ჰიდროფილური, ექნება უარყოფითი ზელაპირული ძაბვა, მიკროფორული სტრუქტურით, მარტივი, იაფი, წვეტიანი კუთხეების გარეშე, თავის შემადგენლობაში ანტიბაქტერიული ნივთიერების შემცველი, რომელიც ხელს შეუწყობს ექსტრაგირებული ღრუს გაწმენდას პათოლოგიური მიკროფლორისაგან.

შრომის მიზანი

ისეთი ბიორეგორებადი მასალის შემუშავება, რომელსაც ექნება როგორც ოსტეოინდუქციური, ასევე ოსტეოინტეგრაციული თვისება და გამოიყენება ალვოლარული მორჩის სიმაღლის შესანარჩუნებლად. ამასთან ერთად, პრეპარატის შემადგენლობაში

უნდა შედიოდეს ანტიბაქტერიული ნივთიერება, რომელიც არ იქნება ალერგიული და არ გამოიწვევს მიკრობების რემისტენციის, გაზრდას.

გამოკვლევის ამოცანები

1. ექსტრაქციამდე პირის ღრუს მიკრობული ფლორის განსაზღვრა.
2. ძვლის იმპლანტატის, “ოსტეოფაგის” შექმნა – მისი შემადგენლობის განსაზღვრა / დასაბუთება და ფორმის შემუშავება
3. “ოსტეოფაგის” ადგილობრივი და ორგანიზმზე ზოგადი ტოქსიური მოქმედების ექპერიმენტული შესწავლა.
4. ძვლის იმპლანტატის “ოსტეოფაგის” პირობებში, ძვლის რეპარაციული რეგენერაციის თავისებურებების განსაზღვრა ექპერიმენტში.
5. “ოსტეოფაგის” კლინიკური გამოყენება და მიღებული შედეგების ანალიზი.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

პირველად შექმნილი იქნა ბიოკომპოზიციური ნივთიერება შემდეგი შემადგენლობით ჰიდროქსიაპატიტი, ქულაგინი, მეთილურაცილი და კომბინირებული ბაქტერიოფაგი, რომელსაც ახასიათებს ოსტეონდუქციური თვისებები. დამტკიცებულია, რომ კომპოზიტ ოსტეოფაგის ინგრედიენტები არ მოქმედებენ ფაგის აქტიურობაზე. პირველად სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ძვლის რეგენერაციის მასტიმულირებელი ბიოკომპოზიტის შემადგენლობაში შეყვანილია ბაქტერიოფაგი, კომბინაციაში ანტიფუნგალურ პრეპარატთან.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

1. დადგენილია, რომ ექსტრაქციის შემდგომ ალვეოლარულ ღრუში პრევალირებს სტაფილოკოკური და სოკოვანი ინფექცია.
2. შემუშავებულია ალვეოლუმი დეფექტების რეპარაციისათვის ახალი კომპოზიციური მასალა შემადგენლობით: ჰიდროქსიაპატიტი, ქულაგინი, მეთილურაცილი და კომბინირებული ბაქტერიოფაგი, რომელიც ექსტრაგირებულ ღრუში შეგანისას ხელს უშლის რბილი ქსოვილების ინტერპოზიციას ძვლის ფრაგმენტებს შორის, ამით ის ხელს უწყობს ალვეოლარულ მორჩის შენარჩუნებას.

3. ჩვენს მიერ შექმნილი “ოსტეოფაგი” ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაცია ლეფექტის არეში და ქმნის **basis** იმპლანტანტის ჩასაყენებლად.
4. კოლაგენი და პროპოლისი 24 საათიან ექსპოზიციით ბაქტერიოფაგთან დაახლოებით 60% მდე თრგუნავს მის ბიოლოგიურ აქტივობას. ამიტომაც ამ პრეპარატების გამოყენება ფაგთან ერთად მიზანშეწონილი არ არის.
5. კომპოზიტ “ოსტეოფაგ”-ს პრაქტიკულად არ აქვს უკუზენება. მისი გამოყენება შესაძლებელია იმ პაციენტებში რომლებსაც ალერგია აქვთ ანტიბიოტიკებზე და მათი ბაქტერიული ფლორა ანტიბიოტიკო-რემისტენგურია.
6. osteoplastiuri პრეპარატი “ოსტეოფაგი” ინახება მაცივარში (4 °C) და იხმარება ერთი წლის განმავლობაში დამზადების შემდგომ.

საჯარო დაცვაზე გამოსატანი ძირითადი დებულებები

1. ალვეოლუჯი ღრუს და ღრძილის ირგვლივ მიდამოების ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგები, ექსტრაქციაზე და მის შემდეგ.
2. ძვლის შემცველი ნივთიერება “ოსტეოფაგის” შექმნის ტექნოლოგიის შედეგები და ფაგი “მიკოლიზის” აქტივობის შესწავლა მისი ექსპოზიციის შემდგომ კომპოზიტის სხვადასხვა ინგრიდიენტებთან.

3. “ოსტეოფაგი“-ს ოსტეონდუქციური თვისებების შესწავლა ექსპერიმენტულ ცხოველებში.
4. ბიოკომპოზიტ “ოსტეოფაგი“-ს კლინიკური აპრობაციის შედეგები.

ნაშრომის აპრობაცია სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე (ოქმი №4 2005წლის 18 ნოემბერი)

პუბლიკაციები სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებულია სამი ნაშრომი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

დისერტაცია შედგება: შესავალის, ლიტერატურული მიმოხილვის, მასალა და კვლევის მეთოდებისაგან, მიღებული შედეგების განხილვის და დასკვნებისაგან.

ნაშრომი გადმოცემულია კომპიუტერზე ნაბეჭდ 127 გვერდზე. ნაშრომი ილუსტრირებულია 21 სურათით და 9 ცხრილით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა შეიცავს 142 დასახელების წყაროს.

კვლევის მასალა და მეთოდები

იმისათვის, რომ გაგვერკვია თუ რა მიკრობული ფლორა პრევალირებს საექსტრაქციო კბილის არეში საჭიროდ ჩავთვაღეთ ჩაგვეტარებინა კვლევა 30 პაციენტზე. მათ ექსტრაქციამდე კბილთაშორის სივრციდან უტარდებოდათ naxis აღება და gamokvleva თუ რა ფლორა იყო უფრო გამოხატული. ვიკვლევდით როგორც აერობულ, ასევე ანაერობულ ფლორას. მიკრობიოლოგიური კვლევები ტარდებოდა სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. მასალის ძათესვა ხდებოდა სელექციურ საკვებ ნიადაგზე, ხოლო ინკუბაცია – 37⁰ გემპერატურის პირობებში 24-48 საათის განმავლობაში. კულტურების იდენტიფიცირების შემდეგ – ვაწარმოებდით მიკრობების მგრძობელობა – რეზისტენტობის შესწავლას ანტიბიოტიკებისა და ბაქტერიოფაგების მიმართ. ბაქტერიოლოგიური კულტურების მგრძობელობას ვსაზღვრავდით 52 ანტიმიკრობული პრეპარატის მიმართ, ხოლო ფაგების – სტაფილო, სტეპტოკოკური, პიო და კოლი ბაქტერიოფაგების მიმართ.

პრეპარატის კომპონენტების შესარჩევად და თანაფარდობის განსასაზღვრავად საჭირო გახდა კვლევის ჩატარება ბიოფარმაციის ცენტრის ბაზაზე, პროფ. ვ. ერიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა ჩვენ ნივთიერებაში შემავალი კომპონენტების თანაფარდობა. აგრეთვე ჩვენს მიერ შექმნილი იქნა ოთხი ტიპის კომპოზიტი: ჰიდროქსი-აპატიტი + მეთილურაცილი + ქელაგინი + ბაქტერიოფაგი, ჰიდროქსი-აპატიტი +

მეთილურაცილი + კოლაგენი + ბაქტერიოფაგი, ჰიდროქსილაპატიტი + ლინდგელი + ქელაგინი + ბაქტერიოფაგი, კვერცხის ნაჭკუჭი + ლინდგელი + ქელაგინი + ბაქტერიოფაგი. ამ პრეპარატების შემდგომი კვლევა ჩატარდა გ.ელიაშვილს სახ. ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ფაგების მორფოლოგიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიაში, სადაც მოხდა მისი საბოლოო წარმოება.

ჩატარდა 100 კვლევა. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა მიკრობიოლოგიურ კვლევის კლასიკური მეთოდები, აგრეთვე კონცენტრაციის, ტიტრაციის და შრობის მეთოდები. ყბა-სახის ქირურგიაში გამოსაყენებელი ახალი კომპოზიციის შემადგენლობის, შემუშავების ცდების ჩატარების მიზნით ჩვენს მიერ ანტიბიოტიკის ალტერნატიულ საშუალებად შემოთავაზებულ იქნა ახალი კომბინირებული ბაქტერიოფაგი – მიკოლიზი (პოლივალენტური პიოფაგი+ანტიფუნგალური პრეპარატი). საუკეთესო შემადგენლობის შემუშავების ცდები მიმდინარეობდა თანმიმდევრულად სხვადასხვა კომბინაციების შერჩევის გზით. ჩვენს მიერ შემოწმებულ იქნა ოთხი ახალი კომპოზიციის კომბინაცია კოლაგენი + ჰიდროქსილაპატიტი + მეთილურაცილი + ბაქტერიოფაგი. ქელაგინი + ჰიდროქსილაპატიტი + მეთილურაცილი + ბაქტერიოფაგი. ქელაგინი + კვერცხის ნაჭკუჭი + ლინდგელი + ბაქტერიოფაგი. ქელაგინი + კვერცხის ნაჭკუჭი +

მეთილურაცილი + ბაქტერიოფაგი საცლელ ნაერთებს ემატებოდათ როგორც თხიერი, ასევე მშრალი ფაგური პრეპარატი. ფაგური პრეპარატის აქტივობის განსაზღვრა ორივე შემთხვევაში ტარდებოდა ღინამიკაში: 1. 24. 48. 122 სთ ფაგის კონტროლთა პარალელურად.

ძვალში შეყვანილი ინპლანტანტის – „ოსტეოფაგის“ ადგილობრივი და ორგანიზმზე ზოგადი ტოქსიური მოქმედების ექსპერიმენტული შესწავლა ჩატარდა თეთრ ვირთაგვაზე. ცხოველები დაიყო ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებად (სამ-სამი ცხოველი თვითოეულ ჯგუფში). გაუტკივარების პირობებში ბარძაყის ძვალზე ბორმანქანის მეშვეობით ხდებოდა ლეფექტის ფორმირება, რომელიც ექსპერიმენტულ ჯგუფში შეესებულებოდა იყო ოსტეოფაგის გრანულებით, ხოლო საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში ძვლის ლეფექტზე დამატებითი ჩარევა არ ჩატარებულა და ჭრილობა ყრუდ დაიხურა.

„ოსტეოფაგის“ ადგილობრივი გამადიმიანებელი მოქმედებისა და ალერგენობის შესწავლა მოხდა პათომორფოლოგიურ ლაბორატორიაში. ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა 10 ვირთაგვაზე. მათ ყოველდღე პირის ღრუში, ღრძილებზე უკეთებოდათ ოსტეოფაგის შეზღვევა. ექსპერიმენტი გრძელდებოდა 28 დღის განმავლობაში.

პრეპარატ „ოსტეოფაგის“ რეგენერაციის მასტიმილირებელი თვისებების გამოსავლენად ჩატარებული იქნა ექსპერიმენტი

მამრობითი სქესის 30 ბრლასრულ თეთრ ვირთაგვებზე. აქედან 20 წარმოადგენდა ძირითად ჯგუფს, 10 – საკონტროლოს.

ეთერთ ნარკოზის შემდეგ, საოპერაციო ველი იპარსებოდა, შემდეგ ბარძაყის ძელის არეში კეთდებოდა ორი სანტიმეტრის სიგრძის განაკვეთი. შემდეგ ხდებოდა კუნთოვანი ქსოვილის განცალკევება ძელისაგან. ბორის დახმარებით ხდებოდა 0,8 მმ – 0,2 მმ ზომის ლეფექტის წარმოქმნა. 20 შემთხვევაში ხდებოდა ჩვენი ნივთიერების შეყვანა ლეფექტში. ჭრილობა იკერებოდა ყრუდ. საკონტროლო ცხოველებში გაკეთებული ლეფექტი არ ივსებოდა კომპოზიტით და ჭრილობა იკერებოდა ყრუდ. ოპერაციის შემდგომ ხდებოდა დაკვირვება ვირთაგვების ქცევაზე, კანის ჭრილობის მდგომარეობაზე. ვირთაგვების გამოყვანა ექსპერიმენტიდან ხდებოდა 10-20-30-60 დღის შემდეგ. ნაოპერაციები ძვალი იკვეთებოდა და წარმოებდა მისი ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა. პრეპარატები იღებებოდა ვან-გიზონის, ჰემატოქსილინ-ეოზინის მეთოდებით. ყურადღება ექცეოდა რეპარაციული რეგენერაციის პროცესს, როგორც ძირითად ასევე საკონტროლო ჯგუფში. ვაკვირდებოდით გარეგანი და შინაგანი ძელის კორძების მოძებს და ძელის კორძის ელემენტების დიფერენციაციას.

კლინიკაში ოსტეოფაგი გამოყენებული იყო 30 ავადმყოფზე, ხოლო საკონტროლო ჯგუფში 15 ავადმყოფზე. შედარებისთვის გამოყენებული იყო საკმაოდ გავრცელებული რუსული წარმოების პრეპარატი „კოლაპანი“. კვლევა ჩატარდა, ბრმა მეთოდის

მეშვეობით. კვლევა ტარდებოდა ყბის პანორამული რენტგენოგრაფიის მეშვეობით. დაკვირვება ტარდებოდა ღინამიკაში კბილის ექსტრაქციის შემდგომ კომპოზიტის მოთავსებიდან 1-30-90-120 დღის შემდეგ. მკურნალობის ეფექტურობა ფასდებოდა კლინიკური, ბიომეტრიული და რენტგენოლოგიური მონაცემებით. თანამედროვე აპარატის მეშვეობით ხდებოდა ძვლის სიმკვრივის ცვლილებების გამოძვა.

მასალა დამუშავებულ იქნა კომპიუტერული პროგრამით SPSS ვერსიით და კომპიუტერული სტატისტიკის სპეციალურად შემუშავებული მეთოდით (სტიუდენტის მეთოდის საფუძველზე).

მიღებული მონაცემები და მათი განხილვა

ბაქტეოროლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირი მიკროორგანიზმები ექსტრაქციის შემდგომ იყო ეპიდერმალური სტაფილოკოკი, 10 შემთხვევა. მომდევნო ადგილი დაიკავა სოკომ, კანდიდა-ალბიკანსმა, 6 შემთხვევა. იშვიათ შემთხვევაში გამოიყოფოდა *S.saprothiticus*, *M.catarralis*, *E.coli*, *Ps.aeruginosa*. პირის ღრუში მიკრობული ფლორის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანაერობული ფლორა არცერთ შემთხვევაში გამოვლენილი არ იყო.

მონოკულტურა იზოლირებული იყო 10 შემთხვევაში და ძირითადად წარმოდგენილი – St.epidermidis-ით, დანარჩენ 10 შემთხვევაში იდენტიფიცირებულია შერეული ინფექციები, რომელიც, ძირითადად, წარმოდგენილია კოკებისა და საფუარა სოკოების ასოციაციებით.

ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ S.epidermidis 60% იყო მგრძობიარე პიოფაგის მიმართ. ხოლო ციპროფლოქსაცინის პენიცილინ G-ს ამპიოქსის მიმართ იყო 40-45%, ვინაიდან ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძირითადი მიკროორგანიზმები წარმოადგენდა სტაფილოკოკური და კანდიდოზური ინფექციებით და მათ მიმართ მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა ბაქტერიოფაგები, საჭიროდ ჩავთვალეთ კომპოზიციის შემადგენლობაში ანტიბაქტერიულ საშუალებად შეგვეყვანა არა ანტიბიოტიკი, რომელმაც შესაძლებელია მოგვეცეს ალერგიული რეაქციები და ხშირი რემიდენტულობა, არამედ სპეციალურად შექმნილი ბაქტერიოფაგი.

ჩატარებული შესაბამისი კვლევით დადგინდა, რომ “ოსტეოფაგის” კომპონენტების იდეალური თანაფარდობაა

შემადგენლობა: (გრ/100გ-ში)

ჰიდროქსიაპატიტი – 40,0

მეთილურაცილი – 13,4

პოლივალენტური ბიოფაგი, მიკოლიზი – 40,0

ჟელატინი – 6,6

მორფოლოგიური და ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგები შემდეგნაირია. ჩვენს მიერ შემოწმებული ოთხი სხვადასხვანაირი შემადგენლობის ნარევიდან, რომლებშიც ფაგის აქტივობის შემოწმების შედეგად აქტივობის სრული დაქვეითების გამო სამი ვარიანტი მთლიანად იქნა დაწუნებული. ამრიგად დადგინდა, რომ კომპოზიტის საუკეთესო შემადგენლობა არის $\text{ჟელატინი} + \text{მეთილურაცლი} + \text{ჰიდროქსიპაპატიტი} + \text{ბაქტერიოფაგი}$.

დაკვირვების ქვეშ მყოფი ცხოველების ევთანაზიის შემდეგ, ჩატარდა მათი პათოლოგოანატომიური გამოკვლევა. ნაოპერაცივე ძვალსა და შინაგან ორგანოებს ჩაუტარდა მაკრო- და მიკრომორფოლოგიური გამოკვლევა. პათოჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის პარაფინის ანათლები შეღებილი იყო ჰემატოქსილინითა და ეოზინით და პიკროფუქსინით ვან-გიზონის მეთოდით.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებში დაზიანებული ძვლის რეპარაციული რეგენერაციის პროცესი, განსხვავდება იმისაგან, რასაც ადგილი აქვს საკონტროლო ჯგუფში. ხსენებული თავისებურებანი მდგომარეობს შემდეგში:

1. გარეგანი ძვლოვანი კორძი საკონტროლო ჯგუფში უფრო დიდ ზომებს აღწევს, სამაგიეროდ შინაგანი კორძი უფრო კარგად არის განვითარებული ექსპერიმენტულ ჯგუფში;
2. ძვლის კორძის ელემენტების დიფერენციაცია უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებში;

3. ძვლის დევექტის ადგილას ფირფიტოვანი ძვლოვანი ქსოვილის ფორმირება უფრო ადრე ხდება ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებში;

4. ძვლის დევექტის ადგილას წარმოქმნილი ახალი ძვლოვანი ქსოვილის აკომოდაცია უფრო ადრე სრულდება ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებში და ექსპერიმენტის ბოლო ვადაზე ძვლის რემოდელირება პრაქტიკულად დასრულებულია, მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფში ხსენებული პროცესი კვლავ აქტიურად მიმდინარეობს.

ამრიგად ძვლის იმპლანტანტი, “ოსტეოფაგი“, ექსპერიმენტულ პირობებში ხელს უწყობს ძვლის რეპარაციული რეგენერაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვას და ამასთანავე, განაპირობებს რეგენერაციისა და ძვლის რემოდელირების ადრე დასრულებას:

- აწესრიგებს რეგენერაციის პროცესს, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება რეპარაციის პროლიფერაციის ფაზის დახვეწა-გაუმჯობესებაში;

- აუმჯობესებს / აჩქარებს ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილის აკომოდაციის პროცესს.

ოსტეოფაგის კლინიკური აპრობაციის წინ ჩავატარეთ პრეპარატის ადგილობრივი და ზოგადი ტოქსიურობის, ალერგიულობაზე გამოკვლევა.

საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფის ცხოველების თავის ტვინის, გულის, ფილტვების, თირკმლების, ღვიძლის, კუჭისა და ნაწლავების მორფოლოგიურ თავისებურებათა შედარების შედეგად, მათ შორის არსებითი განსხვავება არ გამოვლენილა – ყველა გამოკვლეული ორგანოს პარენქიმისა და სტრომის შენება ერთმანეთის ანალოგიურია და პათომორფოლოგიური ცვლილებები, გამოყენებული მიკრომორფოლოგიური კვლევის მეთოდებით, არ დარეგისტრირებულა.

დადგინდა, რომ ძვლის იმპლანტანტი – “ოსტეოფაგი“ იმპლანტაციიდან 2 თვის შემდეგ, ადგილობრივად, ძვლოვან ქსოვილში

პერიოსტიუმსა და მიმდებარე რბილ ქსოვილებში არ იწვევს პათოლოგიური პროცესების განვითარებას, რაზეც მეტყველებს პათომორფოლოგიური ცვლილებების არარსებობა:

ძვალის იმპლანტანტი - “ოსტეოფაგი“, იმპლანტაციიდან 2 თვის შემდეგ, ცხოველის თავის ტვინში, გულში, ფილტვებში, თირკმელებში, ღვიძლში, კუჭსა და ნაწლავებში არ იწვევს პათოლოგიური პროცესების განვითარებას, რაზეც მეტყველებს პათომორფოლოგიური ცვლილებების არარსებობა.

ძვალის იმპლანტანტ - “ოსტეოფაგის“ ადგილობრივი და ორგანიზმზე ზოგადი (თავის ტვინზე, გულზე, ფილტვებზე, თირკმელებზე, ღვიძლზე, კუჭსა და ნაწლავებზე) ტოქსიური მოქმედება ექსპერიმენტში არ გამოვლინდა.

ჩვენი კვლევის ამოცანა იყო ბიორეზორბირებადი მასალა „ოსტეოფაგის“ გამოყენება ექსტრაგირებული კბილის ადგილას დარჩენილი დეფექტის სამკურნალოდ. ასევე საინტერესო იყო ბიოკომპოზიტიური ნივთიერების მოქმედება ძვლოვან დეფექტზე და ოსტეორეპარაციაზე. აგრეთვე ჩვენი მიზანი იყო ექსტრაქციის შემდგომ ალვეოლური ძვლის მომზადება შემდგომი იმპლანტაციისათვის ან პროტეზირებისთვის.

30 შემთხვევაში პაციენტს დეფექტში უთავსდებოდათ „ოსტეოფაგი“, ხოლო 15 პაციენტს პრეპარატი „კოლაჰანი“. აქედან 26 იყო ქალი, 19 კაცი.

ალვეოლაში პრეპარატის მოთავსებიდან მე-5 დღეს კლინიკურად ლორწოვანი გარსი ექსტრაგირებული კბილის ადგილას ფერით არ განსხვავდებოდა ირგვლივმდებარე

ქსოვილებისაგან. ნაკერებს შორის პრეპარატის გამოყოფა შემჩნეული არ იქნა. რენდგენოლოგიური კვლევა ტარდებოდა სტომატოლოგიურ კლინიკა „დენტექსი-95“, ორთოპანტომოგრაფია კეთდებოდა ექსტრაქციაშიდუ, ექსტრაქციის შემდეგ 1-3-6 თვის შემდეგ. თანამედროვე გერმანული წარმოების (Trofy-2000) აპარატის მეშვეობით ხდებოდა ძვლის დეფექტის აღგილას ძვლის სიმკვრივის გაზომვა.

ექსტრაქციიდან ერთი თვის შემდეგ ორთოპანტომოგრაფიაზე ჩანდა ოსტეოილური ქსოვილის მსუბუქი ჩრდილი. თვითონ ძვალს ჰქონდა ღრუბლისებრი შენება. სამი თვის შემდეგ ძვლის ღრუს არ ჰქონდა მკაფიო შენება. შეინიშნებოდა გარკვეული უბნების ნაწილობრივი რეზორბცია. ექვსი თვის შემდეგ ძვლის ღრუ მთლიანად იქნა შევსებული სრულფასოვანი ძვლით და პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ირგვლივმდებარე ქსოვილებისაგან.

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო ექსტრაგირებულ ღრუში პრეპარატ „კოლაპანი“-ის შეყვანისას ერთ შემთხვევაში საჭირო გახდა მისი ამოღება ჭრილობის დაჩირქების გამო. ორთოპანტომოგრაფიული კვლევისას ძვლის სიმკვრივის გაზომვისას „ოსტეოფაგის“ მაჩვენებლები აღემატებოდა „კოლაპანისას“.

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ „ოსტეოფაგი“ ახორციელებს ინფიცირების პრევენციას, რაც გამოწვეულია პრეპარატში კომბინირებული ბაქტერიოფაგების არსებობით.

ამრიგად პრეპარატ „ოსტეოფაგის“ გამოყენებით შესაძლებელია ალვეოლარული მორჩის აგროფიის შეჩერება და ძვლის რეგენერაციის სტიმულაცია – მოწესრიგება.

დასკვნები:

1. საექსტრაქციო კბილის ირგვლივ მყოფ ქსოვილებში ვლინდება სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები და სოკოები, რომელთა 62-63% მგრძნობიარეა მიკოლიზის მიმართ;
2. კოლაგენი, პროპოლისი და კვერცხის ნაჭუჭი, როგორც ცალ-ცალკე, ისე სხვადასხვა კომბინაციაში, თრგუნავენ მიკოლიზის ბიოლოგიურ აქტივობას, რაც გამოიხატებოდა ფაგის აქტივობის მკვეთრი დაქვეითებით;
3. ბიოკომპოზიციური მასალა „ოსტეოფაგის“ შემადგენლობაში შედის: ჰიდროქსიაპატიტი (40.0) + მეთილურაცხილი (13.4) + ქელატინი (6.6) + მიკოლიზი (40.0) იგი წარმოადგენს გრანულარულ ფხვნილს, რაც მოსახერხებელს ხდის მის გამოყენებას ძვლოვანი დეფექტის შესავსებად.

4. ბიოკომპოზიციური მასალის – ოსტეოფაგის შემადგენლობაში შემაგალი ნივთიერებები ჰიდროქსიაპატიტი (40,0), მეთილ-ურაცილი (13.4) და უელატინი (6.6) არ თრგუნავენ მიკოლიზის შემადგენელი ბაქტერიოფაგისა და ანტიფუნგალის ბიოლოგიურ აქტივობას;
5. ბიოკომპოზიციური მასალა – „ოსტეოფაგი“ ექსპერიმენტში არ იწვევს არც მწვავე და არც ქრონიკულ ადგილობრივ გამაღიზიანებელ მოქმედებას ძვალსა და მიმდებარე რბილ ქსოვილებში. ამასთანავე, ოსტეოფაგის ძვალში იმპლანტაციის შედეგად შინაგან ორგანოებში არ ვითარდება დაზიანება.
6. ბიოკომპოზიციური მასალა – „ოსტეოფაგი“ ხასიათდება ოსტეოინტეგრაციული და ოსტეოინდუქციური თვისებებით; იგი აწესრიგებს რეპარაციული რეგენერაციის პროცესს რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება პროლიფერაციის ფაზის დახვეწა – გაუმჯობესებაში. ამასთანავე, ის აჩქარებს ახლადწარმოქმნილი ძვლის კორძის აკომოდაციის პროცესს.
7. ბიოკომპოზიციური მასალა – „ოსტეოფაგის“ კლინიკურმა გამოცდამ პრაქტიკაში დაადასტურა

მისი ეფექტურობა ალვეოლური მორჩის ატროფიის პრევენციისა და ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციის სტიმულირებისათვის. ამასთანავე, ვინაიდან იგი ანალოგიურ უცხოურ პრეპარატებზე სულ ცოტა ორჯერ უფრო იაფია და მისი წარმოება შესაძლებელია საქართველოში, მიზანშეწონილია ოსტეოფაგის ჩვენში ფართო გამოყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.

პრაქტიკული რეკომენდაციები

1. იმ შემთხვევაში თუ პაციენტი აპირებს იმპლანტაციას ან პროტეზირებას მას შეიძლება შეეთავაზოს უშუალოდ ექსტრაქციის შემდეგ „ოსტეოფაგის“ შეტანა კბილბუდეში. ამით შესაძლებელი ხდება შემაერთებელი ქსოვილის ჩაზრდის შეჩერება ძვლოვან დეფექტში, ალვეოლური მორჩის სიმაღლის შენარჩუნება და ძვლის რეგენერაციის სტიმულირება.
2. კომპოზიტ „ოსტეოფაგს“ პრაქტიკულად არა აქვს უკუჩვენება. მისი გამოყენება შესაძლებელია იმ პაციენტებში, რომლებსაც ალერგია აქვთ ანტიბიოტიკებზე,

ხოლო მათი ბაქტერიული ფლორა ანტიბიოტიკორეზისტენტულია და აქვთ დისბაქტერიოზი.

3. კოლაგენი და პროპოლისი 24 საათიან ექსპოზიციით ბაქტერიოფაგთან დაახლოებით 60%-მდე თრგუნავს მის ბიოლოგიურ აქტივობას. ამიტომაც ამ პრეპარატის გამოყენება ფაგთან ერთად მიზანშეწონილი არ არის.

4. ძვლის იმპლანტანტი, “ოსტეოფაგი”, ექსპერიმენტულ პირობებში ხელს უწყობს ძვლის რეპარაციული რეგენერაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვას და ამასთანავე, განაპირობებს რეგენერაციისა და ძვლის რემოდელირების ადრე დასრულებას:

- აწესრიგებს რეგენერაციის პროცესს, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება რეპარაციის პროლიფერაციის ფაზის დახვეწა-გაუმჯობესებაში;
- აუმჯობესებს / აჩქარებს ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილის აკომოდაციის პროცესს.

5. ოსტეოპლასტიური კომპოზიტი „ოსტეოფაგი“, რომელიც ფლობს ოსტეინდუქციურ თვისებას, ექსტრაქციის შემდეგ ალვეოლარულ მორჩის დეფექტში შეყვანისას, ხელს უწყობს ოსტეორეპარაციას და ყბის ძვლის დენსიტომეტრულ მაჩვენებლებს, კოლაგენის ხმარებასთან შედარებით, ზრდის 20-26%-ით.

6. არაალერგიული, ბაქტერიოციდული და ანტიმიკოზური თვისებების მქონე ოსტეოპლასტიური მასალა „ოსტეოფაგი“, ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციული რეგენერაციის პროცესის დაჩქარება-მოწერიგების მიზნით, შეიძლება გამოყენებული იყოს სტომატოლოგიურ და ორთოპედიულ პრაქტიკაში ძვლოვანი დეფექტების მკურნალობის დროს.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულ შრომათა სია:

1. Применения синтетических алотрансплантантов в стоматологии – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიური სერია A, 2004 წ. № 5, გვ.647-654. ავტორები: დ.მამამთავრიშვილი; გ.მენაბდე.

2. ძვლის აღმდგენი ნივთიერების შემადგენლობის შერჩევის თავისებურებანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიური სერია A, 2005 წ. № 5, ტ.31, გვ.681-686. ავტორები: დ.მამამთავრიშვილი; გ.მენაბდე; ა.მეიფარიანი; ი.ჭყონია; დ.ჟღენტაძე.

3. კბილის ექსტრაქციის შემდგომი ალვეოლარული ღრუს მიკრობული ფლორა – საქართველოს სამედიცინო მოამბე, 2004 წ. № 1, იანვარი-მარტი, გვ.81-84. ავტორები: დ.მამამთავრიშვილი; გ.მენაბდე; კ.აფრიღონიძე.

Актуальность проблемы

Оптимальное сохранение объема тканей альвеолярного отростка после операции удаления зуба является весьма актуальной медико-социальной проблемой (Arthur O. et all.,1993), в связи с чем по-прежнему необходим поиск способов повышения эффективности лечения больных в период от удаления зуба до изготовления постоянной ортопедической конструкции, а также разработка методов, способствующих снижению атрофии костной ткани (Абалмасов Н.Г. ,Шамшурина В.Р.,1993).

Известно, что экстракция зуба всегда влечет за собой уменьшение оставшегося челюстного отростка. Статистически выявлено, что эта атрофия за короткий промежуток времени от 2 до 3 лет ведет к потерям кости от 40 до 60% и прогрессирует со скоростью от 0,25 до 0,5% в год до самой смерти. Этот феномен атрофии развивается у каждого индивидуума при удалении зуба. Предотвратить данный процесс возможно только благодаря моментальному после операции заполнению альвеолы специальным материалом в виде так называемой терапии сохранения челюстного гребня.

(Ашман А.,2001).

В ходе заживления раны врастание соединительной ткани в альвеолу препятствует остеогенезу и ведет уже через 1 месяц после экстракции зуба к уменьшению челюстного гребня вследствие резорбции 1/3 щечной пластины. Это, в свою очередь, влечет за собой не только эстетические, но и значительные ортопедические проблемы , уменьшая необходимый для имплантации объем и толщину

челюстной кости. Лишь на втором месте стоит разрушенная патологическим процессом челюстная кость (например, гранулемой, кистой, травмой, прогрессирующем заболеванием пародонта) и считается препятствием для эффективной имплантации (Ashman A, 2000).

Как правило, к удалению зуба приводят осложненные формы кариеса травмы, заболевание пародонта и т.п., что вызывает значительную убыль костной ткани в области хирургического вмешательства. Участки альвеолярного отростка челюстей, подвергающиеся значительной атрофии затрудняют лечение с использованием съемных протезов, ухудшают эстетические показатели при протезировании несъемными конструкциями и являются относительным противопоказанием при использовании имплантатов из-за дефицита расстояния до важных анатомических образований челюстей.

Часто после удаления зуба мы сталкиваемся с рядом осложнений и в первую очередь – с инфицированием раневой поверхности и обострением патологических процессов в тканях пародонта. Достаточно часто встречаются усиление резорбции костной ткани, перемещение зубов, непрогнозируемое формирование рельефа альвеолярных участков челюстей, снижение высоты нижнего отдела лица (Н.Г.Коротких с сотр.,2004 г.).

Исходя из приведенных данных становится понятным стремление ученых создать остезамещающий материал, не допускающий перенос заболеваний, гидрофильный, с отрицательным поверхностным напряжением, микропористой структурой, простой, недорогой, без острых краев и содержащий в своем составе антибактериальные вещества, способствующие очищению экстракционной лунки от патогенной микрофлоры.

Все большую популярность завоевывает лечение моментальными имплантатами непосредственно после экстракции. Не считая возможных эстетических, функциональных и психологических потребностей, основное предназначение заключено в сохранении альвеолярного гребня. Благодаря вживлению моментального имплантата (с трансплантатом) предотвращается естественная атрофия челюстной кости, так как кость сохраняет свою задачу – укрепление «корневой формы зуба» для жевательной функции.

Это достигается прежде, чем разовьется атрофия кости после экстракции. На деле именно заполнение экстрагированной альвеолы определенным материалом (с или без имплантата) предотвращает развитие атрофии челюстной кости. Этот метод в стоматологии называется «сохранением челюстного гребня». Важно, что эта концепция выполняет свою цель независимо от того, вводится ли после операции в полость кости один только синтетический трансплантационный материал или в сочетании с имплантатом (Ашман А.,2001, Т.Г.Робустова.,2004).

Считается (Н.Г.Коротких с сотр.,2004), что непосредственный протез, являясь надежным защитным фактором, дает возможность снизить риск воспалительных осложнений и сохранить кровяной сгусток в лунке удаленного зуба. Кроме того, эластичная подкладка протеза представляет собой достаточное депо для лекарственных препаратов, наносимых на базис непосредственного протеза (кератопластика).

